ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4519599

ნომერი: AR1673701

თარიღი : 21.05.2019

გაცემის თარიღი : 28.05.2019

გაცნობის თარიღი : 01.06.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ორხევი , ქუჩა ახვლედიანი , N 26;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჯამრიშვილი პ/ნ 01009002919
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კორ. 20 ბ. 30

ნომენკლატურა :

- დამხმარე - ტექნიკური შენობები
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 4300641
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 13.12.2018

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: დამხმარე ტექნიკური შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ილია სუმბაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ბუმბა"

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 208156591

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ბუმბა"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 208156591
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი ჯამრიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 010090022919

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 5784.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 179.49
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 133.93
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 133.93
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 440.79
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 386.94
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 53.85
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 3.37
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 2.77
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.6
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ,,-"
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 139.69
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ,,-"

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზის შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ), კერძოდ:

1. .სატიტულო ინფორმაცია. -> .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ველში უნდა მიეთითოს საწარმოოდ დამხმარე (ფარდულის ტიპის) ნაგებობა.

2. .საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: თქვენს მიერ წარმოდგენილი შპს "ტავ ურბან საქართველო"-ს წერილის თანახმად ნება გეძლევათ 0.00 ნიშნულის ზევით +2.40 მეტრი სიმაღლის დამხმარე ფარდულის ტიპის ნაგებობის მშენებლობაზე, ხოლო წარმოდგენილი პროექტით საპროექტო შენობის სიმაღლე +2.77 მეტრია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვინაიდან შესაცვლელია თლიანი საპროექტო დოკუმენტაცია შესაბამისად გიხარვეზდებათ ყველა საჭირო ველი: გეგმები, ჭრილები, ფასადები, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, ფოტომონტაჟი, სავიზიტო სურათები, სიმაღლის სხივი, გენ-გეგმა და ვექტორული ფაილები.

3. .საინფორმაციო დაფა - ბანერი. -> .საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს

საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტი №57დადგენილების 40-ე მუხლის 1-ლი ქვეპუნქტის შესაბამისად აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) შენობა-ნაგებობის მისამართი;
ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
გ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;
დ)შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები.
საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

თქვენ მიერ წარმოდგენილი ბანერი არ შეიცავს კანონმდებლობით დადგენილ ყველა აუცილებელ ინფორმაციას. ასევე წარმოსადგენია რეალური არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები.

4. ."მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი: მოსაკრებლის მაჩვენებელი გადამოწმებული იქნას შესწორებული საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

5. ვინაიდან მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით წარმოადგინეთ იპოთეკარის, სააქციო საზოგადოება „ლიბერთი ბანკი"-ს (წესდებით განსაზღვრული წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული) სათანადოდ დამოწმებული თანხმობა შენობა/ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით. ასევე დაურთეთ ხელმომწერი პირის შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი

6. საპროექტო მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება ელექტროგადამცემი ხაზი, გარე განათების თვითმზიდი იზოლირებული სადენი, (საკ. კოდით #01.00.280) მესაკუთრე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული. საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე.

7. საპროექტო მიწის ნაკვეთის სიახლოვეს ფიქსირდება ხაზოვანი ნაგებობა, არხი, მაგისტრალური არხი, (საკ. კოდით #81.00.212) მესაკუთრე შპს "საქართველოს მელიორაცია". საჭიროა წარმოადგინოთ შპს "საქართველოს მელიორაცია"-ს მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე და შესაბამისი ბეჭდით დამოწმებული გრაფიკული ნაწილი.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ

მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.